

„დროების“ რედაქცია — სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯიკის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисе, въ Редак-
цію „Дროба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-ღვინე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: სვრიქონზე რვა კაპ; გან-
ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებ-
ზე. თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქციის განსწორების
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს
დაუბეჭდვლად წერილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდვს
ავტორს.
Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и ва
граници принимаются только въ деѣт. конторѣ
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს
„დროებაზე“
1885 წლისათვის
თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — მ. ჭილაძეების
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძისთან; თელავში — ვანო როს-
ტომაშვილთან; გორში — აბალო თუთაევთან.
დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

მცრობობთ ნათესავთა და მახლობელთა, რომ წლის წირვა და საფ-
ლავის კურთხევა განსვენებულის ზეინა ნინო აფხაზისა და ნინოულია შა-
ბათს, დეკემბრის 15-ს, დილის ცხრა საათზე იოანე ლეთის-მეტყველის
ეკლესიაში, მერაზედ.
თ-დი ნიკოლოზ აფხაზი,
ელისაბედ საგინოვისა,
ილია ჭაჭავაძე.

შინაური ჭრონიკა
ჩვენ მოგვივიდა გაზეთში დასა-
ბეჭდად შემდეგი წერილი ერთის პი-
რობისა: „მეტყველის“ გაზეთის შემ-
წობით, — გვწერს ბ-ნი თიანე, — ვი-
ციც, რომ ამ მოკლე ხანში სურათ-
ბიანის „მეტყველის-ჭრონიკის“ ბეჭდვას
შეუდგებიან და, როგორც გავიგო-
ნეთ, თითო წიგნი დაახლოვებით
რვა მანათამდე ეღირება. ამ ფა-
სის გადახდა ერთბაშად, ერთის
წიგნის მოსაპოვებლად, რასაკვირვე-
ლია, ბევრს გაუჭირდება, მგტადრე
დაბალ ხალხს, ღარიბს უმრავლესო-
ბას (რომელიც უფრო კითხულობს ამ
წიგნს). ამისათვის, არ იქნება ური-
გო, რომ ეხლავე გაიმართებოდეს ხე-
ლის-მოწერა, და სათაურულს მსურ-
ველს მიეცემოდეს შეძლება წვილი-

„დროების“ ქელტონი, დეკემ. 14-ს

სამრო მიწის მფლობელობა ჩვენში
შიდა განეთი და ქართლი*)
(წერილი მეოთხე)

ქანეთი — ეს მშვენიერი შიდა-ქანეთი-
თი — დასახლებული ქანეთი ქართვე-
ლებით, თავისი მაღლიანი მამულით,
რასაკვირველია, ადვილად გაუღიძებ-
და კერძო პირთ მის დასაკუთრების
მადას. ამიტომ ვერ წარმოვიდგენ-
დი, რომ ამ მხრის ზემო ნაწილში,
რომელიც უფრო მჭიდროდ არის და-
სახლებული, შეგებდებოდი სოფელს

*) პატივცემული ს. მ.—ლი, ავტორი
„დროების“ ქელტონებისა „ორი თვე სოფ-
ლად“, მისოვდა, რომ მიჩვენებინა, სვდ სუ-
ფევდა ქართლში საერო მიწის მფლობელო-
ბის კანონები, რომელიც შესახებ და-
პირადი მკითხველებს როდისმე ცალკე მიმე-
ლაპარაკება. ვასრულებ ქელა ჩემს დაპირე-
ბას და ს. მ. სურვილსაც.

— იგივე პირი გეთხოვს დაბეჭ-
დოთ შემდეგი გარემოება: „მარშან
ამ დროს თბილისის გაზეთებში და
მათ შორის გაზ. „დროებაში“ და-
ბეჭდილი იყო განცხადება იმის შე-
სახებ, რომ პეტერბურგში იქნება გა-
მართული ლოტარეა — ალფრედი პე-
ტერბურგის უბინაო ბავშვების თავ-
შესაფარის სასარგებლოდ. ბილე-
თები ამ ლოტარეისი ისყიდებოდა
თითო მანათად და ბევრმა შევიძინეთ
კიდევ, მაგრამ აქამომდე ამ ლოტა-
რეის შესახებ აღარაფერი ცნობა არ
ყოფილა გამოცხადებული გაზეთებში.
მაშინ აცხადებდნენ, რომ თუ ლოტა-
რეის გამართვის შემდეგ ექვსის თვის
განმავლობაში ნივთები არ მოიკით-
ხეს იმათ, ვისაც ერგებოდა რამე, ეს
ნივთები ჩაითვლებოდა შეწირულად თავ-
შესაფარის სასარგებლოდ. მაგრამ
რომ არაფერი არ იცის, როდის იყო
ეს ლოტარეა გამართული, როგორ
უნდა მოიკითხოს, რა ერგო მის ბი-
ლეთს? ჩვენის აზრით, საჭირო იყო,
რომ თავ-შესაფარის კომიტეტს დაწე-
რილებით გამოეცხადებინა ყოველივე
გარემოება ამ საქმისა, რადგან გან-
ცხადება მის სახელით იყო დაბეჭდი-
ლი და ბილეთებიც მისის სახელითვე
ისყიდებოდა.“

— თელავის მხარეში, როგორც
გვატყობინებენ ქანეთიდან ჩამოსულე-
ბი, სოფ. ზემო-ხოლაშენში, აწევრ-
ში, იყალთოში და ამ სოფლების
გარეშე გავრცელებულა საქონლის
ჭირი და გლეხ-კაცობა ძალიან გაჭირ-
ვებულ მდგომარეობაშია ამის გამო
ჩავარდნილიო.

აქაც მიწის მფლობელობისა; უნდა კი
ესთქვას, რომ ამ უკანასკნელ დროს
„მეტყველის“ დავიდარაბათა გამო ბლო-
მად ჩამოვკრათ ამათ ეს მიწე-
ბი. სათემო მფლობელობა ამ მხრივ
ხელს უწყობს კერძო პირებს... რაც
ამ დავი-დარაბას გადარჩენილან, საწ-
ყალ ხორხლელებს — მარშან ვადუშ-
ყვეტათ თანასწორ გაეჩარქნათ. მა-
ნაჩენიც დაუწერიათ და როგორც
გამჩარქებლებსთვის, ისე ორიოდ
სოფლის კაცისთვის მეტი შეუხვედრე-
ბით, რადგან ამ უკანასკნელთ სო-
ფელზე დავალება ჰქონიათ: ვინც ჩი-
ნიანი მიუვიდოდათ, ამათ სახლებში
თურმე აყენებდნენ, ვეკილადაც ამათ
იჩრევდნენ და სხვა... ასე თუ ისე, ეს
მეტის მიცემა სოფლისაგან რამდენიმე-
სათვის არ მოსწონებია იქაურ ერთ
„დავაიკ“ და გაქილ გლეხს; უჩივ-
ლია, რომ უგანაჩენოდ უ-სოფლის
პირად ზემოდ თქმულმა პირებმა ძა-
ლად ვაპყვეს მამულები და სო-

— სოხუმში დეკემბრის 8-ს ქალაქის
დეპუტატების არჩევანი ყოფილა. ამ
არჩევნის შესახებ სოხუმელი კორეს-
პონდენტი გვატყობინებს შემდეგს:
„დეკემბრის 8, დილით ქალაქის მცხოვ-
რებნი, ვისაც კი აქ სახლი აქვს, იყე-
ნენ პოლიციისაგან მიწვეულნი აქაურ
სასწავლებლის, დარბაზში დეპუტატე-
ბის ასარჩევად. სულ 140 კაცამდის
შეგროვდა. თავმჯდომარემ წარმოად-
გინა ათი კანდიდატი; მაგრამ კენჭის
ყრამდე, მცხოვრებლებმა მოისმინეს
ანგარიში ქალაქის შემოსავალ-გასავ-
ლისა ამა 1884 წლის განმავლობაში.
დეპუტატად პირჩიეს ორი, ერთი აქაურ
ძველი მოვაჭრე და ნადეპუტატარი
მარკოზ მიმინოშვილი, ერთი კიდევ
ბერძენი. მანდიდატებ შორის ერთი
წევრი სხვა-და-სხვა სამეცნიერო საზო-
გადოებისა, ბუნების-მეტყველი ჩერ-
ნიავსკი, მაგრამ ორს ზემოხსენებულს
პირს უფრო მეტი კენჭი ერგო და
ამიტომ ეს კანდიდატი არ იქმნა არ-
ჩეული დეპუტატად.“

ეს ამბავი ზოგიერთებს არ მოეწო-
ნათ და მოინდომეს არჩევანის გაუქ-
მება. ორიოდ-სამიოდე ვაქებატონებმა
დასწერეს საჩივარი და ხალხს თითქ-
მის ძალად აწერინებდნენ ხელს; რო-
გორც შევიტყუეთ, დეპუტატად არჩე-
ულს მიმინოშვილს ეს გარემოება შეუ-
რაცხყოფად მიუღია და განუზრახავს
უჩივლოს ამ პირთ უმაღლესს მთავ-
რობის წინაშე და ენახოთ, როგორ
გათავდება ეს პატარა სკანდალი ჩვენს
პატარა ქ. სოხუმში.“

— „ჭყესი გუჩუქში“ სწუკენ:
ჩვენს ვაკასაუჭა ღვინოები, რომელიც
მოჭყავთ გასეთში, ქართლში, იმკეთ-
ფელზე ძალას ხმარობენო. მოვი-
და ჩინოვნიკი — საერთოდ სოფელმა
არა სთქვა უარი, რომ მისი ნება
არ ყოფილიყოს გაჩარქებანზედ, მაგ-
რამ, როცა სათითაოდ დაუწყეს კით-
ხვა, პირ-მოთნეობამ და შიშმა დას-
ლია ხალხს და განაჩენზე უარი
სთქვეს. — „უგანაჩენოდ გაჩარქებას
ძალა არა აქვს“, ბძანა ჩინოვნიკმა
და აირია ჩოჩეთი: „ქელესას“ ეს უნ-
დოდა. ღლესაც არეულ-დარეულად
ხმარობენ მიწებს...
ქანეთის ბოლო ნაწილში სოფლე-
ბი: მავაზი, შიკანი, ხანძიანი და ახალ-
სოფელი ერთ წესზე აწარმოებენ
თავიანთ სათემო საქმეს მიწების მფლო-
ბელობის შესახებ. შევლა ამ სოფ-
ლებს გარშემო დაჩემებული მამულე-
ბი აქეთ და დაჩემებულ მამულებს გა-
რემე, სათემო სახნავ-სათესიც, რო-
მელსაც ხმარობენ იმ წესით, რა წე-
სიც ენახეთ მარე-ქანეთში. მაგრამ
ამას ერთი გარემოებაც ემატება: სა-

ში და კლასიკურ-პოლისა, ხაქვას და კრეკის გუბერნიებში, როგორც კვარ-წმუნებენ მტლანე პირნი, დიდის დი-სხვისანნი ანან, მხატვარ ამ ღვინოების უმეტესი ნაწილი, თუმცა მადლის დი-სხვისანნი, შორს გზას ვერ იტანს და დიდხანს ვერ ინახება. მიზეზი, რომელიც აბრკოლებს ჩვენს ღვინოების გავრცელებას, უმთავრესად ის არის, რომ ან იცინი მასი დაუქება. ის ში-კანდელი წესება, რომელთაც მისდევენ ღვინის დაყენების დროს, ცუდს გამო-სდევნენ მას. იგიანად რომ აყენებდენ ამ ღვინოებს, სასადის წესით რომ აწარ-მკვებდენ, თვით წვენი უფროსისა, რომელიც გამდიდრების, ისეთი დიხსები-საა, რომ მისგან დაყენებულ ღვინოს შეუძლიან არა თუ შეედაროს საუკეთესო კერძობიულს ღვინოებს, არამედ კი-დეც აჯობოს მათ.

„მოსკოვის უწყებებში“ იწე-რება, რომ მთავარ-მმართველის შუამდგომლობით, გადაწყვეტილია ის შემწეობა, რომელიც კლდეოდათ სასემ-წიფო სახანოებში ამოღებულ სასა-ლაქებს უზღვიანის შესახებ, მიეცეთ გიდეკ ურთის წესს განმარტებაში.

„სოც. დემოკრატების“ შემდეგ იცნობა მიუღია კრთის უფროსის პირი-საგან: ამას წინადადებას ვუტარებ-ბურჯში ჩვენის ფელსტით მტლანე, ამა-სიდეკა, რომელიც იქ მოეფა ტამოყ-ნის ჩინოებისა განხილვისა და დათვა-ლიერება. ასე მოექცა იგი სხვა „სასა-ლაქებს“, რომელნიც რუსეთში იუ-გუნენ გასაკვანნი. სასურველია, ვი-ცოდეთ, ამოღებს ეს პირი, რა საფუ-კლით დაუწყებიათ ამ გვარი სასო-ღობისათვის შესაწესებელი სატამოყ-ნი დათვალიერება „სასალაქების“ ამჟ-ობის სამსჯელობის შორისა?

ამ უგანსკუნელს დროს, ამავე გა-სუთის ხატვით, თბილისშიც გაჩენი-ლა ბიშოპისკოპოსი ჭაბჭაბუკისა; ამ კიდეც, ბ. ჭ — ს გაუმართავს თა-ვისა სკანისა, რომელსაც ბევრი ხალ-სი და ქაქები დასწრებას.

თემო მიწებს ქვემო-გაეზის საზოგა-დობა წინამხრიდან მოსულენს საბა-ღებდალ და სახანედალ აღიეეს იჯარით. აქედამ შემოსულ-ფულით ან გადა-სახანს იხდის, ან სასოფლოდ იყოფს. ბავაზის ბოლომ კი ნესე-საზამთრო-იცის და წინამხრელები ამიტომ ეტა-ნებიან ამ აღიელებს. შიკანელებიც თავიანთ სათემო მიწებს ყვარელებს ახენეინებენ ხოლმე ლალით.

ამ სოფლებს გარეშე ახენთში დარჩ-ნენ სახელმწიფო და საეკლესიო სოფ-ლები, მესამე ტიპისამებრ მაწარმოე-ბელნი მიწის მფლობელობის საქმისა. ავიღოთ ორი სოფელი — მალრანი და ბაბანეური. მორიე სოფლის მამულე-ბი სახელმწიფო არიან. დასაწყისი-დამდე აქაურ მცხოვრებლებს გვარზე დაჩემებული მამულები მქონიათ. ხო-გი გვარი არ გამრავლებულა და ბლო-მად სახანე-სათვის უჭირავს, ხოგი გამრავლებულა და ძალზე შესტოტა-ვებია. აქაურის მიწების პატრონებს

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

შორიხილესად ვთხოვთ მისცეთ აღ-გრილი „დროებაში“ ქვემოლ მოყვა-ნილს ჩვენს წერილს; იქნება თქვენს ბეჭდის ძალით მიაქციონ თავიანთი უფრადება ვისიც ჯერ არს, და მოს-პონ ანაირი თავ-გასულობა და უწყსო ქცევა აქაურის რკინის გზის სტანციის უფროსის ბატონი ბელევი-ჩისა და ამითი დაგვიცენ ამას იქით მაინც მისგან მოყენებული წვლები-სა და ზარალებისაგან. აი, ჩამოე-თვლით სათითაოდ ამის უწყსო ქცევის მაგალითებს:

1) იგი არ იღებს, ჩვენგან თავის დანიშნულს დროზედ გასაგზანს სა-ქონელსა და არც მოსულს საქო-ნელს თავის დროზედ გეძლეეს;

2) როდესაც ვაბარებთ საქონელსა, ჩვენს მუშებით გვაწყობინებს სასწო-რზედ, ჩვენ ისავე მუშებით აწონილს საქო-ნელს გვალაგებინებს თავისაგან ნა-ჩვენებს ადგილზედ, შეიღირეა ტომ-რის სიმალეზედ. დადებისა და გად-მოღებისთვის სრულად გვანდევინებს და სტანციის მუშებს კი სრულე-ბით არ გვანძარს. როდესაც გავლე-ნიანი პირი გზაენის რასმეს და იცის ვერსს განდება, იმას-კი სტანციის მუ-შებით უწონის, და ჩვენ, ისეც სილა-რიბისაგან დაჩაგრულს ხალხს, მწარე-დღეს გვაყენებს;

3) მერე კრთის ჩვენგანს ვგრეთვე ბევრს სხვას არ შეუძლიან დაუბედეს მომავალს მატარებელს, რაც უნდა გულისთაღს მგობარს ან ნათესავს მოველოდეთ, ანუ ვაცილებდეთ ვის-მეს. დაგვიანავს თუ არა ეს ბატონი სტანციის უფროსი ბელევიჩი, მო-გვექრება, დაგვიწყებს გინებასა უპა-ტიურის ლექსითა და გვემუქრის რომ სტანციაზედ არა დროს არ მივიდეთ. ამავე განკარგულებასთან პროტოკო-ლის შედგენასაც გვპირდება;

4) არ შეგვიძლია ოთხ-ფეხი: ლო-რი, გოჭი, და თხა კარზედ გამოგუ-შვათ. ამ სტანციის უფროსს და ამა-

დაგირავებაც შეუძლიანთ, გაყოფაც, ჩუქებაც და გაყიდვაც, მხოლოდ ის პირი, ვისაც მამული გადაეცემა, იმა-ვე სოფლის მცხოვრებელი უნდა იყოს. მაგრამ თუ გვარი ამასწყდა, მაშინ სოფელს უბრუნდება. საქონლის სა-ძოვრად გასელა ამ გვარ მიწებში აღ-კრძალული არ არის და დაშლა არა-ვის შეუძლიან. მსევე აწარმოებენ საქმეს ახენთში სოფლები: მარდის-უბანი, არტოზანი, შილდა — ქვარლის ხალხი, სახელმწიფო გლეხნი და სხვ... სოფელ არტოზანში შევესწარ ამ გვარ აყალ-მაყალს: გლეხს მოეჭრა ორ მი-წას შუა ჩაჩხირულ წარაფში ფიხი. წახდგომოდა ზედ კერძო მონაწილე და ართმედა წალდს, გლეხი უძალიან-დებოდა: „მერთი არა გაქვს, რომ მართმე? შენი რა არის? იქით სათე-მო მიწა და აქედაც — ეს შუაში წერი-ლად გაქაყელებული მიწის ნაჭერი შენი ვინ მოგცა? სადაოდ რომ დასდე, მოიგებ? ჯერ მოიგე და მერე ფეხი


ვე სტანციის „ტელეგრაფისტს ბარ-ლინსკის უჭირავთ თოფები და ულ-მერთოლა ხოცვენ. ამ ორის თვის განმავლობაში ეყოლებათ მოკლული ოც სულამდის.

5) ჩვენს ლექსებში რომ ქართული სიმღერა დაწყოს ვინმემ, მოარბენი-ნებს ჟანდარმსა, გვიყენებს პროტო-კოლსა და გვემუქრის, თუ კიდევ გაა-გრძელებთ სიმღერა, მიუწერ და ლექ-სებს დიგიკეტინებთო.

6) შევლა ესეები გამოიწევა იმან, რომ ჩვენ ამ ბატონს ბელევიჩს ნი-სიად არაფერს ვენდევით. იმედი გვაქვს ამ ჩვენ წერილს გაღასთარგმნიან რუ-სულს გაზეფებშიაც.

იორდანე ბრეგაძე
იორდანე ამაზიშვილი
წიწა როსტომოვი
გრიგოლ ჩლაიძე
ა. ხ. ვეგენ ივანეს ძე მამაცაშვილი.

ს. გ. ამი. დეკემბრის 8-ს.



ინფორმაცია

ინფორმაცია — რით ხელ-მძღვანელობდენ ევროპის სახელ-მწიფონი, როდესაც ბერმანია და რუსეთი არ უნდოდათ გაერათ ეგ-ვიპტის საქმეების განწყობაში. ამ ორის უმთავრესის სახელმწიფოთა გამოკლე-ბას უმთავრესად ინგლისს აბრალე-ბდენ. მს უარის-ყოფა ინგლისისა, უწყველია, იმ გარემოებამ გამოიწ-ვინა, რომ რუსეთს, როგორც ისმის, არ ჰსურს დაუბუღდეს ინგლისის მთავრობისაგან წარმოდგენილს ზოგი-ერთს წინადადებებზე ეგვიპტის საქმე-ების შესახებ. მეგობრებს დიდ-ძალი ვალი აწევს ინგლისისა და მამასადამე, აღვი-ლი ასახსნელია, რად ეწინააღმდეგება ინგლისის მთავრობა, რომ ისეთი სა-ხელმწიფო არ გარიოს მეგობრის საქმე-ბის განწყობაში, რომლის მომხრეო-ბის იმედი არა აქვს მას. როგორც რეიტერის სააგენტოს ცნობიდანა სჩანს, რუსეთისა და ბერმანიის წარმომადგე-

მომხრე, თუ შიგა მხარე.“ ტერძო პირს თურმე „კომისიაში“ დავა გამოუტეხა-დებია ამ წარაფზე (წერილობაზე), თუმც ამ წერიმალას ერთ მხარეს ერთის გლეხის მიწა აქვს და მეორე მხარეს — მეორე გლეხის დაჩემებული მიწა; გლეხი კი სიტყვას „სათემო“ ხმარობ-და ამ დაჩემებულ მიწების შესახებ და მართალიც იყო. ამ გვარად და-ჩემებული მიწები ბერში ემოჩილე-ბიან სათემო კანონებს, როგორც უწყვე დაგინანეთ ზემოდ. დავიწყე ფიქ-რი... ამ გვარ სოფლებში ბევრს, ძალიან ბევრს გლეხს შევხვდები, რომ ერთი ჩიჩქნა მიწა არ აქვს, გარდა ერთი ბახჩა-ვენანისა. ზის ამ გვარი გლეხი და ელის რომელიმე გვარის გადაშენებას, მაგრამ ეს მანებელი წადილი ისე საზარალო არ არის, რო-გორც ის, რომ ბევრი ამ გვა-რი გლეხი გაქნილა მეზობლის ვაჭი-რებით სარგებლობაში. ამის ნატვრა ის არის, რომ ვაუჭირდეს მამულის

ნელთ წარუდგენიათ მედიცინათვის წი-ნადადება, რომ მათს სახელმწიფოთა-ც ჰქონდეთ ხმის უფლება მეგობრის წი-ნასიურ საქმეების გადაწყვეტაში. მე-დივი დიდის წინადადებულებით მოქ-ცევია ორთავ წარმომადგენელთ. არ შემოძლიანო მოგცეთ ესლავ გადა-წყვეტილი პასუხი თქვენს წინადადება-ზედაო, უთქვამს მედიც. მეგობრე კონსტიტუციონალური სახელმწიფოა და არა მაქვს უფლება ესეთს მიიმე საგანზე რამ დაეასკენა მინისტრთა დაუკითხავადო. თვით მეო, დაუმატე-ბია მედიცს, თანახმა ვარ იმისი, რომ რუსეთსა და ბერმანიას ჰქონდესთ ხმა ეგვიპტის საქმეთა განჩიევაშიო. ამავე აზრის წინადადება მიუღიათ საფრან-გეთის, ავსტრიის და იტალიის დიპ-ლომატიურს წარმომადგენელთ შიორ-ში, ესე იგი, რომ თანხმობა გამოაცხა-დონ რუსეთის და ბერმანიის მოთხოვნი-ლების გამო.

ბერმანია. მსეთი მოწინააღმდეგე პარლამენტი თ-ს ბისმარკს არ შეხვე-დრია მთელს თავის კანცლერობაში. ისე არ ვადიგლის ერთი სხდომა, რომ რეისხტაგის წევრთა და რკინის გრაფის შუა შეტაკება არ მოხდეს. პარლა-მენტის უმეტესობა დიდს წინააღმდე-გობას უჩენს „მეფობას“ დაჩეფულ ბისმარკს. სხვათა შორის, გაცხარებუ-ლი სჯა ჩამოვარდა ერთს უკანასკნე-ლად მომხდარს სხდომათაგანზე. მ-დმა ბისმარკმა მოითხოვა, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროში დაარსებული იქმნას რამდენიმე ახალი თანამდებო-ბანი და ამ საგნისათვის სახელმწიფო ხარჯიდან გადაიღვას 20,000 მარკა. პარლამენტმა კენჭი უყარა ამ წინა-დადებას და გააშავა იგი 141 ხმის უმე-ტესობით წინააღმდეგ 119-ისა.

ესეთმა წინააღმდეგობამ გააბრაზა თ. ბისმარკი. ჯერ კენჭის-ყრამდინაც იგი თვის მოკამათეთ გაცხარებით ეომე-ბოდა. მე იძულებული ვარო, ამბობ-და თ. ბისმარკი, ვაცნობო ჩემს მო-წინააღმდეგეთ, რომ საშუალების სიმ-ციკრის გამო თავიდამ ვიცდენ ყოველ-მქონე გლეხს; და იმას თხუთმეტ მანათში თავისი მიწა დაუგირაოს. ბევრი შემხედენ ამ გვარი გლეხე-ბი. ხშირად ამათ ორმოცი და ოც-და-ათი დღის მიწები დაუგირავებიათ თა-ვიანთი მოძმეებისა; თითონ აღარც სთესენ, მიეღენ და ნასამედებს მზად გალეწილ კალოდამ აიწყამენ ხოლმე. აქ ნასამედობაზედ აგირავებენ მიწებს, თელავის ანლო-მანლო სოფლებში მარდისუბანში, არტოზანში და სხვა-გან თელაველების ხელშია ჩაცვიენუ-ლი ამ გვარი მიწები; თან და-გირავებული აქეთ ვენახიც. დაგირავე-ბული აქვს კახელს საპანე თხუთმეტ მანათში; აგრეთვე მიწაც, რომელსაც, იქნება, თითონვე ჰხნავდეს და ნასა-მედს გალეწილ კალოდამ თელაველს აძლევდეს... (დასასრული შემდეგ.)



სავე პასუხის-გებას გარეშე საქმეთა წაყვანაში. შემოიღიან ესტევაო, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქმეები რაც შეიძლება, ქვეყნის სასარგებლოდ სწარმოებდნენ. მაგრამ ეხლა საქირია კიდევ შეძენა მუშაკაცებისა, თორემ საქმე ცუდად წავაო. —**თუ** კი ოცის წლის გამოცდილების შემდეგ, განაგრძობდა ბისმარკი, გარწმუნებთ იმ სიტყვით და ფიცით, რომ მელიც მიმიღია მე, რომ საქირია კაცები და თქვენ კი მეუბნებით: „ეგ ტყუილიაო“, რას უნდა მიეწეროს ეს, თუ არ იმას, რომ ან თქვენ არ გერწმუნებთ და ან თვით მე გავმხდარარ უმეცარი, უძლური. სამსლვარ გარეთ ყველგან, კმაყოფილებით შემოიღიან ესტევა, აღიარებენ ჩემს მნიშვნელობასა და სამართლიანობას, აქ კი ყველანი ეკვობენ, რომ მე ვითომ ჯაბრზედ ვიდგე და ვიცავდე ყოველს წინააღმდეგს. არა მსურს ვილაპარაკო მახედ, თუ რად არ გერწმუნებთ თქვენ, რადგან ნათლად ვნებდევ, რომ ზოგიერთ მეთაურთ დავიკარგავთ ჩემდამი ნდობა. აქი გაიძახოდით: „ძირს ამ გვარი სამინისტრო, ძირს იმპერიის კანცლერიო“. ამასვე ვერ გაიმეორებთ ეხლა, რადგან ხმა არ მოგცათ ქვეყანამ. იმიტომ არა გსურთ ამ ხარჯის გაღება, რომ იცით რამდენად უსიამოვნოა ეს კერძოდ ჩემთვის.

ლეთაჟის ეკლესია და თამარ-ცინის ნანგრევები ს. ვაჟინში.

(მცირე საისტორიო და საარქეოლოგიო შენიშვნა)
ს. ვაჟინის ზემოდ, მთის კალთაზედ, არის ციხე, ოდესმე მაგარი, რომლისათვის დროთა მიმდინარეობას და ცხოვრების ჩარხის ბრუნვას დაუსვამს თვისი შემუსვრელი ბეჭედი, რისგანაღაც იგი ძლიერ დაძველებულა და ალაგ-ალაგ კიდევ ჩამოქცეულა; ციხის აქედ-იქით არიან ღრმა ლელეები, რომლებშიაც მიჩქრილობენ დაქანებული რუები. ზა ამ ციხისადმი აღმართს წარმოადგენს და ამისათვის ძნელია მისადგომლად ურმებისათვის. ამ გზაზედ სიარულის დროს კაცის ყურადღებას მიიზიდავს რამდენიმე ძველი ეკლესია, მშვენიერად ხელოვნურად ნაშენი; ციხესთან მიახლოვების დროს, მგზავრის ყურადღებას იქცევს ციხის კარების სქელი კედლები, მსხვილი ქვებისაგან აშენებულნი. ციხეშივე ცალკე კოშკები და აგრეთვე რამდენიმე ეკლესია, რომელთაგან ორი სამი დაძველებულია, ხოლო ერთი ახალი; ამ უკანასკნელში ეხლა წირვა-ლოცვა სრულდება. შესანიშნავია აგრეთვე სამრეკლო და ორი ღრმა გვირაბი (подземные ходы).

ამ ციხის სიძველეზე გვემოწმება ისტორია. ისტორია იხსენიებს მაგარს თავმესაფარს მე XI საუკ., მეფე ბიორგი II-ის დროს (1072—1088). აქედან ცხადდა სიხანს, რომ წოდება «თამარ-ციხე» ამ ციხეს არ შეეფერება, რადგანაც თამარის წინადა არის

აშენებული. ეს წოდება ან სულ უსაფუძვლოა, ან არა და შეიძლება თამარმა განახლა და ამისათვის დაერქვა მისი სახელი.

საქართველომ მრავალი აოხრება გამოსცადა მეფე-შაჰის ჯარებისაგან. ბიორგი სულიერად იტანჯებოდა, როდესაც ჰხედავდა ხალხს ტანჯვაში და შევლა კი ვერ შეეძლო. რადგანაც ძალით არა გაუვიდოდა-რა მელიქ-შაჰთან, ამისათვის ბიორგიმ გარდასწყვიტა წასულიყო მასთან შესავედრებლად და ამით გამოეხსნა ქვეყანა გაჭირვებისაგან. მელიქ-შაჰმა კეთილად მიიღო ბიორგი და დასთანხმდა საქართველოდგან ჯარის გამოყვანას, მაგრამ იმ პირობით-კი, თუ ბიორგი შემწვობას გაუწევდა მას ძახეთის დაყოლობაში, რომელიც შაჰისაგან დამოუკიდებლის მთავრის ხელში იყო. ბიორგი ნება-უნებურად უნდა დასთანხმებოდა და, დაბრუნდა თუ არა, შეკრიბა ჯარი და შაჰის ჯართან ერთად გაემგზავრა ძახეთის მთავრის წინააღმდეგ. ძახეთის უმთავრესი ჯარი გამაგრებულიყო ზემოხსენებულ მეჯინის ციხეში; ამისათვის ბიორგიმ შემოარტყა თვისი ჯარი ამ ციხეს. ჯარი ერთ-ერთ ციხეს სამის თვის განმავლობაში, მაგრამ მინც ვერ აიღეს იგი, ან, იქნება, ბიორგის ძლიერ არა ჰსურდა ამ ციხის აღება და ქართველების ქლევტა. სამის თვის შემდეგ კი, დახმობების გამო, ბიორგი ჯარით გაემართა ძახეთისკენ (გარეთ-ძახეთი), სადაც მდ. ივრის აქეთ-იქით ნაპირებზედ დასახლა შაჰის ჯარი.

ბატონიშვილი მახუშტი თვის „საქართველოს გეოგრაფიულს აღწერაში“ ამ ციხეზედ და ეკლესიაზედ სწერს: „მას ზევით (ესე იგი მეჯინის ზევით), მთის კალთის კლდესა ზედა, არს ციხე, შენი მაგარი და დიდგებული, შიგ მომდინარე წყლით და ეკლესიით *). რადგანაც ეს ციხე მდებარობით, თუ ნაზრევებით ცოტად თუ ბევრად ძნელია მისადგომად მტრისათვის, ამისათვის ეხლაც, შიშინობის დროს ახლო სოფლების ხალხი სულ იქ მოიყრის ხოლომე თავს, როგორც საიმედო სიმაგრეში. ძველად ეს ციხე მით უფრო შესანიშნავი ყოფილა, რომ წყალი ჰქონია: ამ ციხიდან კეთი-კირით ამოშენებულნი, ქეთიკირისავე კიბეებით გვირაბები წყარობამდის ყოფილან ჩაყვანილნი. გვირაბების ბოლოზედ ყოფილა რვაგალი კოშკები, რომელთაგან ერთი დაქცეულია ეხლა. ამ გვირაბების შემწვობით ხალხს წყალი უზიდა და ამისათვის ადვილად არ შეიძლება და ციხის დამორჩილება. საუბიკრებელია, რომ მახუშტის ამ გვირაბებიდან წყლის ამოტანა ჰქონდა სახეში, როდესაც სწერდა: „აქ არის ციხე... შიგ მდინარე წყაროთიო... მს მით უფრო საუბიკრებელია, რომ ციხეში კვალი არაფერი სიხანს წყაროს არსებობისა.“

ციხეში არის, როგორცა ესტეკით, რამდენიმე ძველი ეკლესია ხელოვნურად აშენებულნი, რომელთა თაღები თან-და-თან იქცევიან და ერთი ახალი. ამ უკანასკნელში არის ძვირფასი სამკაული. არის აგრეთვე ბერების საცხოვრებელი სახლი, მარანი, ზვარი და სხვ... წინადა აქ ბერებს უცხოვრებიათ, ეხლა კი ეს ეკლესია სოფ. მეჯინის მღვდელს ახარია. ეკლესია ყოფილა და არის თთ. აბაშიძეებისა და ანდრონიკაშვილების სასაფლაო. აქვე დასაფლავებულია მღვდელ-მონაზნი „იოსტასი“. გზად ანდრონიკაშვილი, რომელსაც შეუსწავლია ლეთის-მეტყველება, ფილოსოფია და სხვ. მათალიკონ-პატრიარქ ანტონ I-ისაგან *).

*) Descript. Géogr. de la Géorgie, p. 312.

ნურად აშენებულნი, რომელთა თაღები თან-და-თან იქცევიან და ერთი ახალი. ამ უკანასკნელში არის ძვირფასი სამკაული. არის აგრეთვე ბერების საცხოვრებელი სახლი, მარანი, ზვარი და სხვ... წინადა აქ ბერებს უცხოვრებიათ, ეხლა კი ეს ეკლესია სოფ. მეჯინის მღვდელს ახარია. ეკლესია ყოფილა და არის თთ. აბაშიძეებისა და ანდრონიკაშვილების სასაფლაო. აქვე დასაფლავებულია მღვდელ-მონაზნი „იოსტასი“. გზად ანდრონიკაშვილი, რომელსაც შეუსწავლია ლეთის-მეტყველება, ფილოსოფია და სხვ. მათალიკონ-პატრიარქ ანტონ I-ისაგან *).

მდგმე მდიდარი ბიბლიოთეკა ამ ეკლესიისა, ეხლა ღარიბია. მე ენახე ამ ეკლესიის წიგნებთან ერთს დიაკონის სახლში ორი ხელთ-ნაწერი: ა) „ქადაგება ალდგომის დღეს“ — მამროსი ნეკრესლისა და ბ) „სწავლა ახლად დადგინებულთ მღვდელთა მიერ“ — მისივე პირველია დაბეჭდილი ნეკრესლის ქადაგებებში, **) რომელიც გამოსცა ებისკოპოსმა ალექსანდრემ; მეორე დაბეჭდილია „საქართველოს სასულიერო მახარებელში“ (1864 წ. № 6). მე მოხრეს, რომ ამ ეკლესიაში კიდევ ბევრი ხელთ-ნაწერები მოიპოვებოდა. მსთხოვე მღვდელს ამ ხელთ-ნაწერების ჩვენება, მაგრამ მან მომიგო: „თუცა ბევრი ხელთ-ნაწერები ყოფილა, მაგრამ დაკარგულა ამ ცოტა ხანში და ეხლა მარტო ერთი ლექსიკონია-ლა ანტონ ბერისაო. ეს ლექსიკონი სამოციქულოს ტოლად (ე. ი. ძლიერ დიდო). მოველმა ჩემმა სურვილმა, რომ მენახა ეს ლექსიკონი, ტყუილად ჩაიარა, რადგანაც მღვდელი არ წამოვიდა ეკლესიაში სიშორის გამო. წარწერათაგან შესანიშნავნი არიან:

1) მრთს ძველს გატეხილს ზარზედ. მს წარწერა ამბობს, რომ ზარი შეუ-

*) იხ. «Описание древностей г. Тифлиса», პლ. იოსელიანისა, გვ. 195.

**) ამბროსი ნეკრესლის ქადაგებებში, ზემოხსენებულის ქადაგების ბოლოს (გვ. 34) სწერია, რომ ერთი ამ ქადაგების ეგზეგეტიკური ანბროსის დაუტოვებია მათიკაშვილის ეკლესიაში. ჩემგან პოვნილი ხელთ-ნაწერი არის გარდამწერილი ამ მათიკაშვილისადმი გაგზავნილს ქადაგებიდან და თითქმის თვით ამბროსის ავტოგრაფია. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ხელთ-ნაწერის ყდაზედ არის წერილი ამბროსისა ვინმე მღვდელის იოსებ მათიკაშვილისადმი. ამ წერილში ამბროსი ბოდიშს იხდის იოსებთან, რომ მხედრულად დაესწერე ქადაგება და არა ხუცურად და მწერად და ეს იმ მიზეზითაო, განაგრძობს ამბროსი, რომ ბნელა ციხეში ვზივარ და არც საქირია ნივთები მაქვს, რომ ხუცურად დამეწერაო. ეს წერილი საქირია ამბროსის ბიოგრაფიისათვის. მღ. დ. ჯანაშვილი არას ამბობს ამბროსის ბიოგრაფიაში, მართლა იყო თუ არა იგი ციხეში, რაზედაც ასე ცხადად გვემოწმება წერილი მისი მათიკაშვილისადმი. ეს უკანასკნელი ყოფილა შესანიშნავი პირი მე-XVIII საუკ. დასასრულს. მისგან დარჩენილი გადაწერილი წიგნები და თვისგანვე შედგენილი ქადაგებები, როგორც გავიხსენებ: მათიკაშვილების გვარში მოიპოვება, ს. ყვარულში. ზოგიერთი მისი ხელთ-ნაწერები უთხოვნიათ „შუა-მთის“ მონასტრის ბერებს...

წირავს ქიზიყის მოკრავს რეცხავს ანდრონიკაშვილს, რომ მის თხოვნით წაუწერია მისი მძიმე წიგნი, ქიზიყის აბელის ძეს. აბელისთვის 4-ს ქორ-ნს «ტბთ». (1701).

2) წარწერა საფლავის ქვებზედ ერთს ძველს ეკლესიაში. წარწერის ბოლო არა სიხანს: „მე ვიყავი სიყვარულზედ ბენდიერებთან გარემოზლუდელი. მე ვყვავდი სინარულისა წალკოტას შინა. მე ვიზრდებოდი უმაღლესისა მეფისა პალატას ძეთს მეფისათა და განსაკუთრებით თანზრდილობით და პატივითა ემიკალაბაშობისა მეფისა ძის იულონისა. მე ღირს ვიქმენ სიმედ ორთა მეფეთა საქართველოსა და იმერეთისა. მყენდა მეუღლე უმეიროფანდსა საუნჯედ ჩემდა იმერეთის მეფის ძის არჩილის ასული და დაი მეფის სოლომონისა, ასული მეფის ირაკლის და მღენესი მარიამ და ვიყავ გვარეობით კეთილთა შთამომხარებთა თავადი ანდრონიკოვი ძიზიყის სარდალ-მოურავის პაპუსა ძის ძე მელქისაძე და მკვირცხოვბასა სახელწოდებულ მალხაზად... (მეფით არა სიხანს წარწერა). სხვა შესანიშნავი წარწერა ამ ეკლესიაში აღარა სიხანს-რა *).

ბ. ვაჟინელი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

გამოჩენილს არტისტს კნესტო რეასის, რომელიც უფრო ხშირად შექსპირის პაესებში თამაშობს უმაჟრეს რეალებს, დაუწერა დიდი თხზულება იტალიურს ენაზე, გამოკვლევიანი შექსპირზე. თხზულება, 400 გვ. სიგრძისა, იბეჭდება ჟეოგრაფიკაში და მალე გამოიცემა.

კენგრაში ძველ გავრცელებული ყოფილა ქალებით ვაჭრობა. აუარებელი რიცხვა კენგრელი ქალებისა იგზავნება ადმონკლეთ ქვეყნისაკენ, კვამტეში და სამსრეთ-ამერეთში. ქაინის, სტამბოლის, ალქსანდრიის (პეგობტე) სანსაკიბო სასლებში უფრო ხშირად კენგრელი ქალებს ნახავს კაცო. კენგრის მინაგან საქმეთა მინისტრა, რაც შეუძლიან, კენგრის თურქე ასეთს საზიზ-დასს ვაჭრობას ცოცხადს საქონლით, მაგრამ ამ ვაჭრის სენის შეუკრებას დიდს ძალასთან დიდა სხინც სჭირაო, იწერებინა კენგრელი გავრცელება.

სამსრეთ-ინდოსტანში 1883 წელს 20,067 ადამიანი მომკვდარა გველის კბენისაგან, ვეფხვს და უჭამან 985 კაცი, მკვლას და გიენას — 507 კაცი. ამავ გარეულ მსხვეტაგან დღეულება

*) ამ ეკლესიის მახლობლად „ცხრამდამის“ საყდარში, როგორც მოხრეს, ყოფილა კარების მადლია ერთი დიდი ქვაზედ წარწერით, რომელიც იხსენიებდა თურმე მეფე გიორგი ბრწყინვალეს და უზენებდა მის გამეფების წელს. ეს ქვა ჩამოვარდნილა და დაბეჭრეულა რამდენიმე წლის წინადა. ასე იმსრუბა ძვირფასი ძველი საუნჯე რაც დრო და ხანი გადის!

